27 სექტემბერს მოწვეულია
საქართველოს კპ XXI ყრილობა

რა საჩუქრებით ეგებებით თქვენ?

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 42-ე წელი.
№ 217 (12131) | პარასკევი, 22 სექტემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი კომუნიკე

11-დან 21 სექტემბრამდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოწვევით საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ვიზიტად იმყოფებოდა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ოსვალდო დორტიკოს ტორადო. იგი შეხვდა და ესაუბრა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს.

ამ შეხვედრების მსვლელობაში, ნათქვამია კომუნიკეში, მოხდა აზრთა მეგობრული და გულახდილი გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ძირითად პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე. მხარეებმა დაადასტურეს საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის პოზიციათა ერთიანობა ყველა განხილულ საერთაშორისო საკითხში: მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა, მშვიდობიანი თანაარსებობა, საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევა, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და ამის საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრა, კოლონიალიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების გადაუდებელი და საბოლოო ლიკვიდაცია.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ამოცანას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როცა დასავლეთის სახელმწიფოები — ნატოს წევრები გერმანიის საკითხზე საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული წინადადების პასუხად სულ უფრო ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ შეუპოვარი ბრძოლა რაკეტულ-ატომური ომის თავიდან აცილებისათვის, მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ომი არ შეიძლება იყოს და კიდევაც არ უნდა იყოს საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალება.

პრეზიდენტ ო. დორტიკოსს გააცნეს საბჭოთა მთავრობის პოზიცია გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე. საბჭოთა მთავრობამ კვლავ რწმენა გამოთქვა, რომ შეიძლება გამონახულ იქნას ყველა დაინტერესებული/მხარისათვის მისაღები გადაჭრა გერმანიის საკითხისა.

საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში სავსებით გაიგო და მხარი დაუჭირა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

მხარეებმა აზრი გამოთქვეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და მშვიდობიანი გზით გერმანელი ერის მომავალი ნორმალური განვითარების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი პირობა იქნებოდა.

პრეზიდენტმა ო. დორტიკოსმა განაცხადა, რომ კუბის რესპუბლიკის მთავრობას ესმის, რომ ნატოს წევრ დასავლეთის სახელმწიფოთა ინტენსიური სამხედრო მზადებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ მათი პირდაპირი მუქარის პირობებში საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო მიეღო საჭირო ღონისძიებანი თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

ორივე მთავრობა ერთსულოვანია, რომ მსოფლიოში შექმნილი ვითარება მოითხოვს ახალ მტკიცე ღონისძიებებს, რათა განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება ზუსტი და ეფექტური კონტროლის პირობებში. მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი განზრახვა — მიაღწიონ გადაწყვეტილებათა მიღებას ამ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიაზე. კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა შემდგომი ღონისძიებანი კოლონიალიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების გადაუდებელი და საბოლოო ლიკვიდაციის მიზნით.

საბჭოთა კავშირისა და კუბის მხარეები ემყარებიან იმ საერთო თვალსაზრისს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა და ორგანოების შემადგენლობა უნდა ასახავდეს იმ ფაქტს, რომ ამჟამად მსოფლიოში არსებობს სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფი. მხარეებს მიაჩნიათ, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენის საკითხი, რომელიც უკვე დიდი ხანია მომწიფდა. ისინი მოითხოვენ რაც შეიძლება სწრაფად და დადებითად გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხი.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბლოკებს მიუმხრობელ სახელმწიფოთა ბელგრადის კონფერენცია სახარგებლო ნაბიჯი იყო იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე. საბჭოთა კავშირის მთავრობა აღნიშნავს რევოლუციური კუბის დელეგაციის მტკიცე და თანამიმდევრულ პოზიციას ამ კონფერენციაზე, რომელმაც ხელი შეუწყო იმ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომელთა მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის შემდგომი განვითარება.

საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ სავსებით მზარს უჭერს გმირ კუბელ ხალხს, მის რევოლუციურ მთავრობას, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, კუბის რევოლუციის მაღალი იდეალებისა და მიზნების განხორციელებისათვის.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ წარმატებით შესრულდა შეთანხმებანი ვაჭრობის შესახებ, ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ, განხილულ და დასახულ ღონისძიებანი ეკონომიური თანამშრომლობისა და საბჭოთა კავშირ-კუბის ვაჭრობის შემდგომი გაფართოებისათვის.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს ლ. ი. ბრეჟნევმა და დოქტორმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ. (საკდესი).

დარგაზოგა კრემლის სასახლეში

კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის ო. დორტიკოსის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და საბჭოთა მთავრობამ 20 სექტემბერს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს კუბის რევოლუციის ერთ-ერთი გმირებისა და მოღვაწის, კუბის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის დოქტორ ოსვალდო დორტიკოს ტორადოს პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მინისტრები, საბჭოთა კავშირისა და ჯარების სახეობათა მარშლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ოფიცრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, დედაქალაქის საწარმოთა და მშრომელთა მოწინავენი, მოსკოველი ოლქის მინდვრის მშრომელები.

დარბაზობის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

დარბაზობამ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო

მოსკოვი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი კუბის რევოლუციის გმირეული მოღვაწე, კუბის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ოსვალდო დორტიკოს ტორადო.

დიდძალი ხალხი იყო ვნუკოვოს აეროდრომზე. კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის გასაცილებლად აქ მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ სიტყვები წარმოთქვეს აეროდრომზე.



ზემო სურათზე ხედავთ ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის სასელოვან მეჩაიეს ჩიტო მართალიშვილს. მან სახელმწიფოს ჩააბარა 5.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 3.600 კილოგრამისა და ვალდებულება აიღო კიდევ მოკრიფოს 1.400 კილოგრამი ჩაი. ქვემოთ — გურჯაანის რაიონის ვაზის უბნის მოწინავე მევენახეები ზ. კანაშვილი და დ. მღებრიშვილი რთველში.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა). და ი. ტორისა.

კვლავ მოწინავეთა რიგებში ვიქნებიო

მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო ახალ საჩუქრებს უმზადებს მშრომელთა XXII ყრილობას. ამ შრომითს ფერხულში მეც ჩავები და ვცდილობ ჩემი წვლილი შევიტანო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

ოც წელზე მეტია ჩაის ფოთოლს ვკრეფ. ამ ხნის განმავლობაში ათასობით კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მომიკრეფია, მაგრამ წელს ყველაზე უკეთესად ვიმუშავე. უკვე მოვკრიფე 10 ტონაზე მეტი. 5 ათასი კილოგრამით გადავაჭარბე გეგმას. ეს კი 20 ტონას უღრის ჰექტარზე.

დ. თურმანიძე.
ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე.

ზრომის სიხარული

გაზაფხული იყო. კოლმეურნეობის კრებაზე ვთქვი: 0,5 ჰექტარზე ათ ტონა ჩაის ფოთოლს მოკრიფ-მეთქი. ჩემს თანამოსაქმეებს გაუკვირდათ ჩემი ასეთი ნაბიჯი.

მე დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ მზრუნველობით მოვლილი ხავერდოვანი ბუჩქები გამახარებდნენ.

ასეც მოხდა. იყო დღეები, როცა 150-200 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ვკრეფდი. ერთ დღეს 313 კილოგრამიც კი მოვკრიფე. დოვლათს დოვლათი მიემატა, და ვალდებულება შევასრულე. უკვე მოვკრიფე 10 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც ხუთი ტონით აღემატება წლიურ გეგმას.

პირობა შევასრულე, მაგრამ ხეზონის ბოლომდე კიდევ მოვკრეფ ასობით კილოგრამ „მწვანე ოქროს“.

ე. ზაქარიაძე.
ქობულეთის რაიონის ქაქუთის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ძვირფასი საჩუქარი

საპამიასერელი (ჩოხატაურის რაიონი) მშრომელები სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის ძვირფას საჩუქარს მიიღებენ. ამ დღისათვის ყველა მაღალმთიანი სოფელი გაკაკაშებული იქნება ილიჩის ნათურებით.

ქვეყნის ელექტროფიკაციის ღონისძიებანი გეგმის განხორციელებისათვის აქ დიდი მუშაობა გასწიეს რთული რელიეფის პირობებში. უკვე დამთავრდა მაღალი ძაბვის ელექტროსელის გაყვანა სოფლებში. 30 აგვისტოსათვის მთლიანად დამთავრდა საპამიასერის ჩჩავერის საბჭოთა მეურნეობის და სოფლების კალაგონის და მამულარის ელექტროფიკაცია, სატრანსფორმატორო სადგურების მოწყობა. მიმდინარეობს ქვემო ხეთისა და ჩომეთის სატრანსფორმატორო სადგურების მონტაჟი.

საპამიასერში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სოფლის მთლიანი რადიოფიკაციისათვის. აგვისტოს მეორე ნახევრიდან ელექტროდენი მიიღო მეზობელ კოხნარის სკოლა-ინტერნატმა და სოფელმა ბურნათმა. ელექტრონათურების ციმციმა სინათლეზე წარმოქმნილი ულამაზესი პეიზაჟები უნებლიედ ააღიღინებს ადამიანს: „აყვავდი, ტურფავ ქვეყანავ“. სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოებს გათენებიდან გვიან ღამემდე თავს დასტრიალებენ სოფლის თაგკაცები.

განხორციელდა საპამიასერელ მშრომელთა დიდი ხნის ოცნება, მშობლიური პარტიის XXII ყრილობის გახსნის საზეიმო დღეებში მთელი სოფელი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებული იქნება.

რ. სხვიტირიძე.

ჩემი წვლილი

ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის მთავარ წყაროს მეჩაიეობა წარმოადგენს. ამიტომაც ხაგულდაგულად ვუვლით „მწვანე ოქროს“ პლანტაციებს.

პირადად მე მოსავლელად მაქვს 0,5 ჰექტარი პლანტაცია.

80-90 კილოგრამი! — აი ჩემი დღიური ნორმა.

დღემდე 8 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ფოთოლი მაქვს მოკრეფილი. ვალდებულება პირნათლად შევასრულე. ახლა იმისათვის ვიბრძვი, რომ სექტემბერში დამატებით ერთი ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფო.

ესე იგი, სულ 9 ტონა ფოთლის ჩაბარებას ვკისრულობ. ეს იქნება ჩემი საჩუქარი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი.

ნელი გაკაანიძე,
მახარაძის რაიონის გურიანთის კოლმეურნეობის მეჩაიე, ლენინის ორდენოსანი.

ნი ცენტნერგე მეტი სიმინდი

მთათუშეთის თვალწარმტაც იალაღებზეც ყოფილა და შირვანშირაქშიც ეს კაცი. თუშია, და როგორ შეეძლო ცხვარში არ ყოფილიყო.

მაგრამ აი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ერთ დღეს ასე მიმართა გამოცდილ მეცხვარეს ივანე ქაადეს:

— ამხანაგო ივანე, ბარში გვიჭირს. თუ პირუტყვს ზამთრისათვის საკვები არ ექნა, რა გამოვა. ნიადაგი ნაყოფიერი გვაქვს, წყალიც გვეშოვება და სიმინდი მაინც ვერ მოგვყავს. მოდი, ითავე მეხიმინდეთა რგოლის მეთაურობა.

ივანე წუთით ჩაფიქრდა.

— თანახმა ვარ, — თქვა ივანემ და სახლში წამოვიდა. კარგახანს ჩაფიქრებული იყო. ჭიბიდან ქაღალდი ამოიღო, ინგარიშს:

— თვითეულ ჰექტარზე ორმოცი ათასი ძირი სიმინდი. ყოველმა მცენარემ რომ ასორმოცდაათი გრამი მაინც მომცეს, ჰექტარზე სამოცი ცენტნერი მარცვალი იქნება. ამას ვიკისრებ, დარწმუნებული ვარ, რომ მეტსაც მოვიკრეფ...

მზრალად მოხნულ ნაკვეთში ნაკელი ბევრი შეზიდეს, მინერალური სასუქიც. სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს. სამჯერ კულტივაცია ჩაატარეს, გათოხნეს. შრომა დაუფასდათ, ოცი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 62 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

სიტყვის ხალხი

რგოლში ზარმაცი და უქნარა ერთიც არ არის, მაგრამ უკეთესთა შორის უკეთესებიც არიან. მაყვალა წკიპოშვილმა ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 68 ცენტნერი მარცვალი მოიყვანა. გეგმა ამის ნახევარსაც არ ითვალისწინებდა. საშუალო ხულოადამთავრებულმა ჩალი ლაგაზიძემაც გაიმარჯვა შეჯიბრებაში: 0,5 ჰექტარზე 48 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო, ე. ი. ჰექტარზე გადაყვანით — 86 ცენტნერი.

ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც „მინდვრის დედოფალი“ 739 ჰექტარზე ეთესა, სხვებიც ბევრი არიან წარჩინებულნი. ისინი საბჭოთა კავშირის კპ XXII ყრილობას დოვლათის სიუხვეს უპატაკებენ.

სურათზე: ჩ. ლაგაზიძე.

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროელებმა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ტრესტის კოლექტივმა 20 სექტემბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ცხრა თვის გეგმა.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ კალინინის, სტალინის, დიმიტროვის, ორჯონიკიძისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროელთა კოლექტივები. აქ დიდისანია შეასრულეს ცხრა თვის დავალება და ოქტომბრის ანგარიში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს რამდენიმე ეშელონი მარგანეცი.

მამაცურად შრომობენ და წლიური გეგმები უკვე შეასრულეს საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატებმა შაქრო და მიხეილ აბრამიშვილებმა.

ვაიბული, 20 სექტემბერი. (საქდესი), სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა დღეს ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ცხრა თვის დავალება. შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, მიღწეულია მნიშვნელოვანი ეკონომია. შახტის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრა თვის დამლევამდე 25 ეშელონი სითბობი მისცეს სამშობლოს.

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მუშაობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

მსოფლიოში უმაგალითო

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი „კრივოროჟსტროის“ სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის, უკრაინის სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციალიზებულ ორგანიზაციათა და ვ. ი. ლენინის სახელობის „კრივოი როგის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის კოლექტივებმა სარკინიგზო მოკლე ვადაში ააგეს ზემძლავრი ბრძმედი. ტექნიკური დონის მხრივ მისი ბადალი არ მოიპოვება მსოფლიოში. 1961 წლის 13 სექტემბერს ქარხნის ახალმა ბრძმედმა გამოუშვა პირველი თუჯი.

ეს იუნობეს მშენებლებმა წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს მათ შესანიშნავი შრომითი გამარჯვება. (საკდესი).

საქართველოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა თათბირი

15 ოქტომბერს საქართველოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტებში ახალი სასწავლო წელი იწყება. როგორ მოემზადნენ ისინი მეცადინეობისათვის, რა ამოცანებია მათ წინაშე დასახული სკკპ პროგრამის პროგენტის მიხედვით? ეს საკითხები განიხილა კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც 20 სექტემბერს გაიმართა.

თათბირმა მოისმინა მოხსენებანი თბილისის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის პროორექტორის პროფესორ მ. მირიანაშვილისა და ბათუმის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორის ვ. შარაშიძისა მათი მუშაობისა და მომავლის გეგმების შესახებ.

მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს დამსწრეთ კულტურის სახალხო უნივერსიტეტების რექტორებმა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებისა — გ. ტაკიძემ, ქალაქების მახარაძისა — ბ. ნაკაიძემ, სტალინირისა — ვ. პლიევამ, რუსთავისა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ, სამტრედიისა — დ. ჩხეიძემ, გორისა — გ. ჩიტაიამ.

საბჭოთა ადამიანის მაღალი კულტურის სულისკვეთებით, კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხებზე შეჩერდნენ თბილისის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის დეკანები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამძე, პროფესორი ი. თავაძე, აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი კრიტიკოსი ბ. ეღლენტი და სხვები.

თათბირმა მიიღო კულტურის სახალხო უნივერსიტეტის სანიმუშო დებულება და დამამტკიცა სალექციო მუშაობის გეგმა.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, კულტურის სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. ს. დოლიძემ.

(საკდესი).

დე გოლის გამოსვლა

პარიზი, 21 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა, რომელიც ამჟამად მოგზაურობს საფრანგეთის დეპარტამენტებში, ქალაქ ვილფრანშ-დე-რუერგში (ავეირონის დეპარტამენტი) განაცხადა, რომ საჭიროა მოლაპარაკების წარმოება მსოფლიოში არსებულ სადავო პრობლემებზე. ამ პრობლემებს შორის მან დასახელა გერმანიის საკითხი, განიარაღება, მდგომარეობა „დაჩაგრულ ქვეყნებში“ და „კონტაქტების აღდგენა ხალხებს შორის“.

ამავე დროს დე გოლი ცდილობდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ახლანდელი დაძაბულობისათვის საერთაშორისო ვითარებაში და მოუწოდებდა საფრანგეთსა და მთელ ეგრეთწოდებულ „თავისუფალ სამყაროს“ „უკან არ დაიხიონ“.

ილაპარაკა რა ალჟირზე, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა „ბოლო მოეღოს ალჟირის პრობლემას“, ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთი წინანდებურად დახმარებას გაუწევს თავის მოქალაქეებს „ხმელთაშუა ზღვის გაღმა“.

ლათინური ამერიკის ქვეყნებს ნატოში ითრევენ

ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. (საკდესი). პერუს პრეზიდენტი მანუელ პრადო, რომელიც ახლა ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ვაშინგტონში, 20 სექტემბერს შეხვდა პრეზიდენტ კენედის და საათნახევარს ესაუბრა. თეთრ სახლს არ გამოუქვეყნებია დაწვრილებით ამ საუბრის შინაარსი.

ინფორმირებულ წრეებში, იუწყება ასოშიეიტედ პრესი, განაცხადეს, რომ კენედიმ და პრადომ ვანიხილეს ამერიკა-პერუს ურთიერთობის საკითხები და მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს მდგომარეობა, კერძოდ კუბის პრობლემა.

კენედისთან შეხვედრის შემდეგ პრადო მივიდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოში. მან განაცხადა, დადგა დრო, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებმა დაიწყონ თანამშრომლობა ნატოსთან, რათა შეჩერდეს კომუნიზმის შეღწევა ამერიკის კონტინენტზე.

შვეიცის სამხედრო თვითმფრინავებს უგზავნიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას

სტოკჰოლმი, 21 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ შვეიცის მთავრობამ, იუწყება შვეიცის დეპეშათა ბიურო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თხოვნის შესაბამისად, მიიღო გადწყვეტილება გაგზავნოს კონგოში „ლი-29“ ტიპის 4 ავიაგამანადგურებელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის განკარგულებაში კატანგაში საჰაერო და სატრანსპორტო კომუნიკაციების დასაცავად. თავდაცვის შტაბმა დაიწყო მფრინავთა შერჩევა 35 კაცის შემადგენლობით. თვითმფრინავთა და მფრინავთა გადაყვანისათვის მზადება დაახლოებით 10 დღე მოუნდება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. **ბოლოთაევი** ზაქარია ალექსანდრეს-ძე — ქ. რუსთავის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე
2. **ბურმისტროვი** ალექსი პავლეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის ცალძე საგუშაგოს უფროსი
3. **გუჩმაზოვი** ანდრია გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსის მოადგილე
4. **ეგიაზარიანი** აკაკი ოგანეზის-ძე — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი
5. **თუშიშვილი** შაქრო ალექსის-ძე — ქ. თბილისის № 3 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური
6. **ლიუბშინი** ივანე დიმიტრის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური
7. **მალცევი** პეტრე დიმიტრის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსი
8. **მგელაძე** გიორგი ისაკის-ძე — ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი
9. **ნალაპეტიანი** სერგი სარიბეგის-ძე — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური
10. **პარასტაევი** პეტრე იაკრის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის მეხანძრე
11. **შანშიაშვილი** გიორგი სიკოს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსი მეხანძრე
12. **ცინაძე** ვლადიმერ ივანეს-ძე — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური
13. **ძამაშვილი** შოთა გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროს ზეინკალი
14. **ჭამიაშვილი** დიმიტრი მიხეილის-ძე — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე
15. **ხუხუნაშვილი** გივი ელისეს-ძე — ქ. რუსთავის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ბელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წლის 16 სექტემბერი.

ПАРТИЙНЫЙ ЧЕЛОВЕКОЛЮБИЕ

ТБИЛИСИС XXX САКАЛАКО ПАРТИЙНЫЙ КОНФЕРЕНЦИАЗЕ

ДОКЛАД ТОВ. В. П. МЕШАВАНАДЗЕ

ТОВ. ПРЕДСЕДАТЕЛЬ Политический и трудовой энтузиазм граждан столицы Грузинской ССР города Тбилиси, проявленный в подготовке к XXX городской партийной конференции, является выражением единства и сплоченности трудящихся города Тбилиси вокруг своей ленинской партии, выражением их преданности ленинской политике партии, выражением их единодушия с партией в вопросах строительства социализма и коммунизма.

Тбилисская городская партийная организация, руководимая ленинским Центральным Комитетом партии, в прошедшем отчетном периоде, как и все предприятия, учреждения, организации и учебные заведения, с большим подъемом выполнила задачи, поставленные перед ней партией и правительством

ახალი ამოცანების დონეზე

არქივნული ელექტრონული

(დასასრული)

———

ცხოვრების კომუნისტურ წესზე გადასვლა გულისხმობს არა მარტო მძლავრი მატერიალური ბაზის, მოხმარების საგნების სიუხვის შექმნას, არამედ მაღალ საზოგადოებრივ შეგნებასაც. ადამიანთა განთავისუფლებას კერძომესაკუთრული ჩვეულებებისა და ტრადიციების ტვირთისაგან, ეს ამოცანა წარმატებით რომ შეასრულოთო, უნდა გამოიყენოთ ადამიანებზე საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალა.

შრომელი მასების კომუნისტური აღზრდა დიდი და რთული საქმეა, რომელიც ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. ამ მუშაობით ყოველი ადამიანი უნდა მოვიცვათ. კომუნიზმის იდეების ბრძოლაგზდა უნდა გაუწიოთ ცოცხალი და ხატოვანი ენით, ფაქტების ენით, ცხოვრების მკაფიო მასალით, კომუნისტური მომავლის გამარჯვების ურყევი რწმენის მთელი მგზნებარებითა და გულწრფელობით. ჩვენი პროპაგანდა უნდა იყოს მაბლობელი, გასაგები და გულში ჩამწვდომი. მოხვდეს ყოველი საბჭოთა ადამიანის გულსა და გონებას, გაუღვიძოს მას ყველაზე სანუკვარი, ყველაზე ნათელი ფიქრები და გრძნობები.

შემდეგ ამბ. მეკავანაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო გაიზრდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. პარტიის ხელმძღვანელობის ლენინ ჩვენი ეპოქის მოთხოვნებს რომ შეესაბამებოდეს, იგი განუწყვეტლივ უნდა სრულყოფდეს თავისი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ამ მიზნის მისაღწევად პარტია თავისი ახალი პროგრამის პროექტში აყენებს ისეთ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, როგორიც არის შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარება. პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის გაუხრელი დაცვა, პარტიის რიგების ერთიანობისა და მონოლითურობის განმტკიცება. მასებთან, ხალხთან პარტიის კავშირის გაფართოება და გაღრმავება.

ამბ. მეკავანაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტმა. მსოფლიოს გამოხმაურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტზე, — აღნიშნა მან, ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენს პლანეტაზე სოციალიზმისა და კომუნიზმის განუწყვეტლივ მზარდ მიმზიდველ ძალას.

პარტიამ თავისი ახალი პროგრამის პროექტი გადასცა ეროვნული ხალხის განსახილველად. განა ეს იმის მკაფიო დადასტურება არ არის, რომ პარტიის საქმე განუყოფელია ხალხის საქმისაგან, რომ კომუნისტურ პარტიას ხალხის სამსახურის გარეა სხვა არავითარი მიზანი არა აქვს?

საქართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე პროგრამის პროექტის განხილვის დროს კომუნისტებმა, რომლებიც გამოხატავდნენ ყველა შრომელის ფიქრსა და გრძნობას, მხურვალედ მოიწონეს თანამედროვეობის ეს შესანიშნავი დოკუმენტი, შეიტანეს თავიანთი წინადადებანი, შენიშვნები და დამატებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში დასახული დიდებული ამოცანები, — თქვა დასასრულ ამხ. მეკავანაძემ, — ჩვენ უნდა გადავჭიათ თქვენთან ერთად, ამხანაგებო, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მშრომელმა უნდა გადაჭრას. რაც უფრო სწრაფად, უკეთ, ენერგიულად, შეუპოვრად მოკაკიდებთ ხელს ამ კეთილშობილურ საქმეს, მით უფრო მალე, უმოკლეს ისტორიულ ვადაში განხორციელდება პროგრამის პროექტის გულში ჩამწვდომი დასკვნითი სიტყვები: „პარტია საქმეყნოდ აცხადებს: **საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!**“.

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის პირველმა მდივანმა გ. ნ. გოშაძემ, ძველმა ბოლშევიკმა ს. ი. ქავთარაძემ, თბილისის საელექტროსადგურო მემანქანეთა შ. გ. ბასაკოვმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რ. რ. დვალმა და სხვებმა, რომლებმაც მხურვალედ მოიწონეს. ახალი პროგრამის—კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის პროექტი, ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას მოახმარენ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ეს შესანიშნავი ისტორიული დოკუმენტი განსაზღვრავს მარქსიზმ-ლენინიზმის ფიდან იდეებს, ლენინური პარტიის უმდიდრეს გამოცდილებას. შემოქმედებითად განაზოგადებს ხალხის მასების პრაქტიკას. პარტიის პროგრამის პროექტში თავიანთი ზუსტი გადაწყვეტა ჰპოვეს კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების განვითარების თეორიულმა და პრაქტიკულმა პრობლემებმა, პროექტში გამოხატულია საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის სანუკვარი მიზნები და იმედები.

ორატორებმა ახალი მოთხოვნების მიხედვით გაუკეთეს ანალიზი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობას, ამხილეს ამ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახეს მათი აღმოფხვრის გზები.

გამოსვლებმა ცხადყო, რომ თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს ღრმად აქვთ შეგნებული მათ წინაშე მდგომი ამოცანების სიდიადე, მათი განხორციელებისათვის დიდი პასუხისმგებლობა, ცხადყო მათი მისწრაფება პირნათლად შეასრულონ პარტიის ყველა წინასწარდასახული ამ.

სიტყვა მოხსენებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტის შესახებ მიეცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს ს. კ. ჩხარტიშვილს.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი პატივია იყო კომუნისტი, ლენინის სახელოვანი პარტიის წევრი, ილაპარაკა კომუნისტის იმ მოვალეობაზე, რომ მთელი თავისი მოქმედებით წარმოებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში უჩვენებდეს კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს. იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებსა და ნორმებს. სწორედ ამ თვისებების აღზრდას ემსახურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი წესდების პროექტი, რომელიც „შეტანილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის განსახილველად და დასამტკიცებლად.

ჩვენი პარტიის ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც შეიმუშავა და მეცნიერულად დაასაბუთა დიდმა ლენინმა, ყოველთვის იყო და არის მისი თანმიმდევრული რეგულატორი პროგრამისა და ტაქტიკის განხორციელების იარაღი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი წესდების პროექტი პარტიის წინანდელი წესდებების სრულფასოვანი მემკვიდრეა, თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე მათი შემდგომი განვითარებაა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო მაღლდება პარტიის წევრთა როლი და პასუხისმგებლობა. პარტია მოითხოვს, რომ კომუნისტებმა მთელი თავიანთი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება 'მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. კომუნისტი ყოველი ღონისძიებით უნდა ეხმარებოდეს პარტიას კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდაში, მტკიცედ იცავდეს კომუნისტური მორალის ნორმებს, ენერგიულად იბრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთების წინააღმდეგ.

პარტიის წევრმა განუხრელად უნდა დაიცვას პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის. პარტიას, თქვა მომხსენებელმა, აქვს ერთი დისციპლინა, ერთი კანონი ყველა კომუნისტისათვის, განურჩევლად პიროვნებისა. ის, ვინც არღვევს პარტიის მცნებებს, ვინც ბღალავს კომუნისტის სამაგალითო წოდებას, პასუხისმგებელია პარტიის წინაშე მიუხედავად მისი წინანდელი დამსახურებისა, დაკავებული პოსტისა.

საბჭოთა ხალხის წარმატებები კომუნიზმის მშენებლობაში უწინარეს ყოვლისა აიხსნება პარტიის გენერალური ხაზის სისწორით, მისი იმ უნარით, რომ დარაზმის მასები, დროზე აღმოფხვრას ის, რამაც დრო მოჭამა და აფერხებს განვითარებას. ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მძლავრი საშუალება, რომლითაც შეიარაღებულია ჩვენი პარტია, კრიტიკა და თვითკრიტიკაა.

პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის და მის გამო სწორი რეაგირების მაგალითი კომუნისტებმა უნდა გვიჩვენონ. ამიტომ სავსებით დასაბუთებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტის ის მოთხოვნა, რომ პარტიის წევრი მოვალეა „ავითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, გამჟღავნებდეს ნაკლოვანებებს და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის“.

პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულების გადამწყვეტი პირობაა, თქვა მომხსენებელმა, კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა უბანზე. უკანასკნელ წლებში განხორციელებული მუშაობის შედეგად ჩვენი ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგრამ შეიცდომა იქნებოდა ვგეფიქრა, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ნაკლოვანებანი არ არსებობენ. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოში დიდი ბოროტებაა არასწორი მიდგომა კადრების შერჩევისადმი, როცა ეს შერჩევა ხორციელდება არა საქმიანი და პოლიტიკური ნიშნით, არამედ მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების, ნათესაური და კუთხური კავშირის, პირადი სიმპათიების ნიშნით. მუშაკთა ასეთ შერჩევას 'საერთო არა აქვს რა იმ პრინციპებთან, რომლებიც ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა და განსახიერებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, ასეთი შერჩევა ზიანს აყენებს კომუნისტურ მშენებლობის საქმეს.

წესდების პროექტი ითვალისწინებს პარტიის წევრთა უფლებების კიდევ უფრო გაფართოებას, რაც საშუალებას მისცემს მათ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიულ ცხოვრებაში, გახდნენ პარტიის საქმეების ნამდვილი შემსრულებელნი.

პარტიის ორგანიზაციული წყობის ხელმძღვანელი პრინციპი იყო და არის დემოკრატიული ცენტრალიზმი, რაც საშუალებას იძლევა პარტიის მთელი მუშაობა ერთ მიზანს დაექვემდებაროს, ერთიან მიმართულებას ანიჭებს მის პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობას.

პარტიის ურყევი კანონია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განუხრელი დაცვა, პარტიული ორგანოებისა და მათი მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლება პარტიული მასის წინაშე, ყველა კომუნისტის აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდის უზრუნველყოფა.

პარტიის ახალი წესდების პროექტში გათვალისწინებულია კიდევ უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული პარტიული ორგანიზაციების არჩევითობა და აბარიმბება, პარტიული კრებების, კონფერენციების, ყრილობების, პლენუმების, და სხვა კოლექტიური ორგანოების როლის ამაღლება, ხელფასიანი პარტიული აპარატის განუხრელი შემცირება და შტატგარეშე მუშაკებად კომუნისტთა სულ უფრო ფართო ჩაბმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ არის გამოყენებული საზოგადოებრივი საწყისები თბილისის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილია პარტიული კონტროლის ასობით კომისია. საქალაქო კომიტეტში ნაყოფიერად მუშაობს მეცნიერებისა და კულტურის შტატგარეშე განყოფილება, ქალნენინს, ოქტომბრისა და კოროვის რაიკომებში —მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებანი, ორჯონიკიძის რაიკომში — მეცნიერებისა და კულტურის განყოფილება და მოსახლეობაში მომუშავე კომისია. შტატგარეშე განყოფილებანი შექმნილია აგრეთვე საქალაქო გაზეთების რედაქციებთან. პარტიულ კომიტეტებში მუშაობს 150-ზე მეტი შტატგარეშე ინსტრუქტორი.

კარგად გამოიჩინეს თავი ცალკეული საკითხების ტექნიკური პროგრესის, სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი კონტროლის კომისიებმა. კომისიებთან ერთად დიდ როლს ასრულებენ ნოვატორის საბჭოები, პოლიტიკური განათლების შტატგარეშე კაბინეტები და საზოგადოებრივ-პარტიულ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებრივობის მიზიდვის სხვა ფორმები. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კვლავაც სრულყოფ პარტიულ მუშაობაში აქტივის ჩაბმის ფორმები და მეთოდები.

პარტიის ახალი წესდება კომუნიზმის სულისკვეთებით კომუნისტთა, პარტიისა და სახელმწიფოს კადრების ფიქრი აღზრდის გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი საშუალება, შინაპარტიული დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემოგომი გაშლის საშუალება იქნება.

ამხ. ჩხარტიშვილის მოხსენების გამოკამათში გამოვიდნენ ფილეგატები — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიონის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, სკკპ წევრი 1917 წლიდან ფ. ვ. ლომაძე, ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ს. ჯანკლავა და სხვები, რომლებმაც ფლაპარაკეს იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველმხრივ სრულყოფილ იქნას პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ფორმები და მეთოდები, უფრო ფართოდ განვითარდეს საზოგადოებრივი საწყისები მუშაობაში, განვითარდეს კრიტიკა და თვითკრიტიკა. შეიტანეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტისათვის მთელი რიგი წინადადებანი და დამატებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვამ ცხადყო თბილისის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტების ურღვევი შეკავშირება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კომფერენციაზე გამოსულმა დელეგატებმა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიის ყველა წევრისა და კანდიდატის სახელით, ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს დაუცხრომელი, რეგოლუციური ენერგიით აღსავსე საქმიანობისათვის საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია პარტიული ორგანიზაციების მთელ იდეოლოგიურ მუშაობას საფუძვლად დაედოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების ღრმა განმარტება და შესწავლა, დაირაზმოს კომუნისტებისა და ყველა შრომელთა ძალები პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. (საქ. დესი).



საბჭოთა კავშირ—ამერიკის ერთობლივი განცხადება

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საქდესი). აქ გამოქვეყნდა ტექსტები საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოხსენების და ერთობლივი განცხადებისა შეთანხმებული პრინციპების შესახებ განიარაღებაზე მოლაპარაკებისათვის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის თავმჯდომარეს გაუგზავნეს სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინმა და ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ე. სტივენსონმა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მოსანილენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიისადმი მათ შორის აზრთა გაზიარების შედეგების შესახებ საკითხებზე, როგორიც შეეხება განიარაღებას და მოლაპარაკების განახლებას შესაბამის ორგანოში, რომლის შემადგენლობა შეთანხმებულ უნდა იქნეს.

განცხადებების შესაბამისად, რომლებიც 1961 წლის 30 მარტს გააკეთეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავრობებს სურთ მიაწოდონ ინფორმაცია გენერალური ასამბლეის წევრებს, თავიანთ შორის აზრთა გაზიარების შესახებ საკითხებზე, რომლებიც შეეხება განიარაღებას და მოლაპარაკების განახლებას შესაბამის ორგანოში, რომლის შემადგენლობა უნდა შეთანხმებულ იქნეს.

1. აზრთა გაზიარება მოხდა ვაშინგტონში 1961 წლის 19-30 ივნისს, მოსკოვში 17-29 ივლისს და ნიუ-იორკში 6-19 სექტემბერს.

2. აზრთა გაზიარების შედეგად ორივე მთავრობა ადგენს ერთობლივ განცხადებას შეთანხმებული პრინციპების შესახებ და რჩევას იძლევა იხელმძღვანელონ ამ პრინციპებით განიარაღების შესახებ მოლაპარაკების დროს, როცა ასეთი მოლაპარაკება განახლდება. ტექსტი აღნიშნული შეთანხმებული პრინციპებისა დართული აქვს ამ მოხსენებას ორივე მთავრობის ერთობლივი განცხადების სახით.

3. ორმა მთავრობამ გენერალური ასამბლეის XVI სესიის დაწყებისათვის ვერ მიაღწია შეთანხმებას მოლაპარაკების ორგანოს შემადგენლობის შესახებ.

დანართი: ერთობლივი განცხადება გაზიარებებზე მოლაპარაკებისათვის შეთანხმებული პრინციპების შესახებ.

ერთობლივი განცხადება შეთანხმებული პრინციპების შესახებ განიარაღებაზე მოლაპარაკებისათვის.

შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა მოაწყეს აზრთა ფართო გაზიარება განიარაღების საკითხზე მათ შორის მიღწეული იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც გამოცხადდა გენერალურ ასამბლეაზე 1961 წლის 30 მარტს.

შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ გამალებული შეიარაღება, რომელიც გრძელდება, მძიმე ტვირთად აწვება კაცობრიობას და საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს,

ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ გენერალური ასამბლეის 1959 წლის 20 ნოემბრის 1378 (XIV) რეზოლუციის ყველა დებულებას,

მიაჩნიათ, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის პირობებში საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის ხელშეწყობისათვის დიდად მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახელმწიფო იცავდეს არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებს, თავს იკავებდეს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება გაამლიერეროს საერთაშორისო დაძაბულობა, და რომ ისინი ცდილობდნენ ყველა დავა გადაჭრან მშვიდობიანი საშუალებებით.

ყოველივე ამის მიხედვით შეთანხმდნენ წამოაყენონ შემდეგი პრინციპები როგორც საფუძველი მომავალი მრავალმხრივი მოლაპარაკებისათვის განიარაღების შესახებ და მოუწოდონ სხვა სახელმწიფოებს ითანამშრომლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის პირობებში საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების რაც შეიძლება მალე მიღწევისათვის ამ პრინციპების შესაბამისად.

1. მოლაპარაკების მიზანი უნდა იყოს შეთანხმების მიღწევა პროგრამის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს რომ

ა) განიარაღება იქნება საყოველთაო და სრული, და ომი აღარ იქნება საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრის საშუალება და

ბ) ასეთ განიარაღებასთან ერთად დაწესდება საიმედო პროცედურები დავის მშვიდობიანი გადაჭრისათვის და ეფექტიანი ღონისძიებანი მშვიდობის დასაცავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად.

2. საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფოების განკარგულებაში იყოს მხოლოდ ისეთი არაატომური შეიარაღება, შეიარაღებული ძალები, საშუალებანი და დაწესებულებანი, რომლებიც შეთანხმების მიხედვით საჭიროდ იქნება აღიარებული შინაგანი წესრიგის დასაცავად და მოქალაქეთა პირადი უშიშროების უზრუნველსაყოფად, და რომ სახელმწიფოებმა იყოლონ და გადასცენ ადამიანთა შეთანხმებული კონტინგენტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეიარაღებული ძალებისათვის მშვიდობის დასაცავად.

3. ამ მიზნით საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა უნდა შეიცავდეს საჭირო დებულებებს, რომლებიც შეეხება ოვითეული ქვეყნის სამხედრო დაწესებულებებს. ეს დებულებებია:

a) შეიარაღებული ძალების დაშლა, სამხედრო დაწესებულებების, მათ შორის ბაზების ლიკვიდაცია, შეიარაღების წარმოების შეწყვეტა, აგრეთვე მისი ლიკვიდაცია ან გამოყენება მშვიდობიანი მიზნებით;

b) ატომგულის, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის მთელი მარაგის ლიკვიდაცია და ასეთი იარაღის წარმოების შეწყვეტა;

c) მასობრივი მოსპობის იარაღის მატანის ყველა საშუალებათა ლიკვიდაცია;

d) იმ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გაუქმება, რომლებიც განკუთვნილია სახელმწიფოთა სამხედრო საქმის ორგანიზაციისათვის, სამხედრო წვრთნის შეწყვეტა და ყველა სამხედრო სასწავლებლის დახურვა;

e) სამხედრო მიზნებისათვის სახსრების ხარჯვის შეწყვეტა.

4) განიარაღების პროგრამა უნდა განხორციელდეს შეთანხმებული თანმიმდევრობით ეტაპობრივ, სანამ იგი არ დამთავრდება, ამასთან ყოველი ღონისძიება და ეტაპი დაწესებულ ვადებში უნდა ხორციელდებოდეს. მორიგ სტადიაზე გადასვლა განიარაღების პროცესში უნდა ხდებოდეს იმ ღონისძიებათა განხორციელების შედეგების შეჯამების შემდეგ, რომლებიც შეტანილია წინა სტადიაში, და მას შემდეგ, რაც გადაწყდება, რომ ყველა ასეთი ღონისძიება შესრულებული და შემოწმებულია და რომ შემოწმების ყოველი დამატებითი ღონისძიება, რომელიც საჭიროა შემდგომი სტადიის ღონისძიებებისათვის, მზად არის, როცა საჭიროა, ძალაში შევიდეს.

5. საყოველთაო და სრული განიარაღების ყველა ღონისძიება ისე უნდა შეთანასწორდეს, რომ ხელშეკრულების განხორციელების არც ერთ ეტაპზე ვერც ერთმა სახელმწიფომ ან სახელმწიფოთა ჯგუფმა ვერ მიიღოს სამხედრო უპირატესობა და ყველასათვის თანაბრად უზრუნველყოფილ იქნას უშიშროება.

6. განიარაღების ყველა ღონისძიება თავიდან ბოლომდე ისეთი მტკიცე და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით უნდა ხორციელდებოდეს, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე რწმენას, რომ ყველა მონაწილე იცავს თავის ვალდებულებებს. საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების დროსა და განხორციელების შემდეგ უნდა ხორციელდებოდეს უაღრესად გულდასმითი კონტროლი, ამასთან ასეთი კონტროლის ხასიათი და ოდენობა დამოკიდებულია განიარაღების იმ ღონისძიებათა შემოწმების საჭიროებაზე, რომლებიც ყოველ ეტაპზე ხორციელდება. განიარაღებისადმი კონტროლისა და ინსპექციის განხორციელებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში უნდა შეიქმნას განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც შევა შეთანხმების ყველა მონაწილე. განიარაღების ამ საერთაშორისო ორგანიზაციასა და მის ინსპექტორებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ ვეტოს გამოუყენებლად შეუზღუდველი შესვლა ყველა ადგილში, რომელიც საჭიროა ეფექტიანი შემოწმების მიზნებისათვის.

7. განიარაღების დარგში პროგრესთან ერთად უნდა ხორციელდებოდეს მშვიდობის დაცვის და საერთაშორისო დავის მშვიდობიანი საშუალებებით მომაწესრიგებელი ინსტიტუტების განმტკიცების ღონისძიებანი. საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის განხორციელების დროს და განხორციელების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად მიღებულ უნდა იქნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საჭირო ღონისძიებანი, მათ შორის სახელმწიფოთა ვალდებულება გადასცენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განკარგულებაში ადამიანთა შეთანხმებული კონტინგენტები, რომლებიც საჭიროა მშვიდობის დაცვის საერთაშორისო შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შეთანხმებული ტიპების იარაღით. ამ ძალების გამოყენების წესსა უნდა უზრუნველყოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეეძლოს ეფექტიანად შეაკავოს და აღკვეთოს ყოველგვარი საფრთხე ან იარაღის გამოყენება, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

8. სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოლაპარაკებაში, უნდა ესწრაფოდნენ ყველაზე ფართო შეთანხმების მიღწევას და განხორციელებას რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში. ეს მეცადინეობა უნდა გრძელდებოდეს განუწყვეტლივ, სანამ არ იქნება მიღწეული შეთანხმება სრული პროგრამის შესახებ, და უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა უსწრაფესად უზრუნველყოფილ იქნეს შეთანხმება განიარაღების ღონისძიებათა და მათი განხორციელების შესახებ ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს პროგრესს სრული პროგრამის შესახებ შეთანხმების მხრივ და ისე, რომ ეს ღონისძიებანი ხელს უწყობდნენ ამ პროგრამას და შევიდეს პროგრამაში როგორც შემადგენელი ნაწილი.

გენერალური ასამბლეის XVI სესიაზე

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საქდესი). დღეს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა. ასამბლეამ აირჩია რწმუნებულებათა შემოწმების კომიტეტი ავსტრალიის, ბარმის, ისლანდიის, იტალიის, მალის, ნიკარაგუას, პერუს, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა შემადგენლობით. შემდეგ დელეგაციები შეუდგნენ გენერალური ასამბლეის მიმდინარე XVI სესიის თავმჯდომარის არჩევას. ინდონეზიის წარმომადგენელის სასტრამამჯოოს წინადადებით ასამბლეამ თავის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ტუნისის წარმომადგენელი მონჟი სლიმი.

მონჟი სლიმმა მოკლე სიტყვაში მადლობა გამოთქვა მისადმი ნდობისათვის. მან განაცხადა, რომ თავისი არჩევა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის პოსტზე მიიჩნია აფრიკის ხალხთა უდიდესი როლის აღიარებად საერთაშორისო ცხოვრებაში.

გამოცხადდა შესვენება პლენარული სხდომის. მუშაობაში. როგორგად იმართება კომიტეტთა სხდომები, რომლებზეც წარმომადგენლებად აირჩიეს შემდეგი დელეგატები:

პირველი კომიტეტი (პოლიტიკურ საკითხებსა და უშიშროების საკითხებზე) — არგენტინის წარმომადგენელი ამადეო, სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი — ბულგარეთის წარმომადგენელი ჩობანოვი, მეორე კომიტეტი (ეკონომიურ და ფინანსურ საკითხებზე) — იტალიის წარმომადგენელი, მესამე კომიტეტი (სპეციალურ ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხებზე) — ფილიპინების წარმომადგენელი, მეოთხე კომიტეტი (მეურვეობის საკითხები) — ლიბერიის წარმომადგენელი, მეხუთე კომიტეტი (ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხებზე) — დანიის წარმომადგენელი, მეექვსე კომიტეტი (იურიდიულ საკითხებზე) — პანამის წარმომადგენელი.

კვლავ მოწვეულ იქნა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომელზეც აირჩიეს ასამბლეის 13 ვიცე-თავმჯდომარე.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს ნიგერიის, კეიპრუსის, განის, ჩეხოსლოვაკიის, კოსტარიკის, მექსიკის, საბერძნეთის, ნიდერლანდების, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის წარმომადგენელნი და ჩანკაიშეკი.

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის დღის პლენარულ სხდომაზე დაგ ჰამარშელდის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ მონჟი სლიმმა, დანიის, კონგოს (დედაქალაქი ლეოპოლდვილი), ეთიოპიის, ლიბერიის, ინდოეთის, ბარმისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სტივენსონმა განაცხადა, რომ ჰამარშელდის ნეშტი დაკრძალონ ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კედლებთან და დაუდგან ძეგლი.

პოლონეთის წარმომადგენელმა ვინივიჩმა სამძიმარი გამოუცხადა ჰამარშელდის ოჯახს და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის დაღუპულ თანამშრომელთა ოჯახებს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია კონგოს ამბებისა და ამ ქვეყანაში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციის“ და ჰამარშელდის პირადი როლის შესახებ მკაფიოდ იყო განსაზღვრული საბჭოთა მთავრობის განცხადებებში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლებში. ეს პოზიცია ყველამ კარგად იცის. მაგრამ ეს ასპექტი, განაგრძო ზორინმა, ხელს არ გვიშლის, ჰუმანურ მოსაზრებათა გამო, შევეცადოთ იმ სამძიმრებს ჰამარშელდისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მთელ რიგ თანამშრომელთა დაღუპვის გამო, რომლებიც აქ გამოითქვა.



კლასიკური თვითმკვლელობა. ნახ. გ. ლომიძისა.

ადენაუერი ებღაუჭება კანცლერის სავარძელს

ბონი, 20 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება: ექვანასკნელ დღეღამეში შინაპოლიტიკური ვითარება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესამჩნევად გამწვავდა. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის—ქრისტიანულ-ს

აღმოსავლური რენესანსი და საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი აღმოსავლური რენესანსისადმი. აკადემიკოსი ნ. კონრადი 1957 წელს აქვეყნებს ნარკვევს „რეალიზმის პრობლემა აღმოსავლეთის ლიტერატურაში" („ვოპროსი ლიტერატური", 1957 წ. № 1).

სათაურიდან ნათლად ჩანს ავტორის მიზანდასახულობა. თვით ნარკვევში აშკარაა, რომ ავტორს აინტერესებს არა რეალიზმის საკითხი აღმოსავლეთის ლიტერატურაში, არამედ ჰუმანიზმის კვლევა მსოფლიო ლიტერატურაში, „როგორც კიდევ ერთი მთლიანობისა". „ჰუმანიზმი", როგორც ცნობილია, რენესანსის ანუ აღორძინების შინაარსია, ასე იყო მიღებული აკადემიკოსი ანუ დასავლეთის რენესანსთან დაკავშირებით. ამიტომ ეხება რენესანსზე მორიდებულად და ფრთხილად ლაპარაკობს, ის ტერმინ რენესანსის ნაცვლად „ჰუმანიზმზე" ანუ „აღორძინებაზე" საუბარს ამყარებენს ხოლმე.

აკადემიკოს ნ. კონრადის კონცეფცია საინტერესო იმით არის, რომ ის ჰუმანიზმის ანუ რენესანსის მსოფლიო ტიპადობის ცნებას იცავს. იგი წერს: „იმ ყებს მას (ე. ი. რენესანსს) ჩინეთი VIII საუკუნეში, აგრძელებს IX-XV საუკუნეებში შუა აზია და ირანი ინდოეთის მეზობელ ნაკვეთოთურთ; ამთავრებს XIV-XVI საუკუნეებში ევროპა".

როგორც ვხედავთ, ნ. კონრადის კონცეფცია ჰუმანიზმის დიდ ნაწილს აკუთვნებს აღმოსავლეთის რენესანსს მხარეთა სიმრავლითაც (ჩინეთი, შუა აზია, ირანი, ინდოეთი) და ქრონოლოგიურადაც — VIII საუკუნიდან XV საუკუნემდე. დასავლეთის რენესანსს დათმობილი აქვს დასავლეთი ევროპა და ისიც XIV-XVI საუკუნეთა ხანა.

კონრადის კონცეფციას დადებითად შეხვდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა. ცნობილი მკვლევარი პროფესორი ვ. ჟირმუნსკი თავის ნარკვევში „აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემა აღმოსავლეთის ლიტერატურაში" წერს: „რენესანსის ანუ მისდაგვარ მოვლენათა პრობლემა აღმოსავლეთის კულტურასა და ლიტერატურაში არაერთხელ დაისვა უკანასკნელი წლების მანძილზე. ყველაზე ფართოდ იგი დააყენა აკადემიკოსმა ნ. კონრადმა"...

აკადემიკოს ნ. კონრადის გამოსვლა უდავოდ საყურადღებო მოვლენაა იმით, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა სწორედ „უკანასკნელი წლების მანძილზე", როგორც წერს ვ. ჟირმუნსკი. ეს განცხადება — „უკანასკნელი წლების მანძილზე", როგორც ჩანს, უპირისპირდება ჟირმუნსკის ნარკვევის მომდევნო წინადადებას: «Давним поборником идей «Восточного ренессанса» является Ш. И. Нуцубидзе».

მართალია, ვ. ჟირმუნსკი „აღმოსავლეთის რენესანსის" ჩვენულ კონცეფციას გარაუდობს 1947 წლიდან, როდესაც თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა ჩემი მონოგრაფია «Руставели и «Восточный ренессанс» მაგრამ შეუძლია გაიხსენოს ისიც, რომ ჯერ კიდევ 1941 წელს, მოსკოვში გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის თაოსნობით მოწყობილ დისკუსიაში ეკამათობოდით „აღმოსავლეთის რენესანსის" გამო. ამის ანგარიში დაბეჭდილია იმავე წელს.

ცხადია, რომ ვ. ჟირმუნსკი არჩევს ერთმანეთისაგან აღმოსავლური რენესანსის საკითხის დაყენებას „უკანასკნელი წლების მანძილზე" (სადაც ის აკად. ნ. კონრადს გულისხმობს) და „აღმოსავლური რენესანსის" ძველ მომხრეს.

აკადემიკოსი ნ. კონრადი გამოვიდა მსოფლიო რენესანსის („აღორძინების") ფართო გეგმით, რომელშიც მთავარი ადგილი აღმოსავლეთს უჭირავს. ეს კი წარმოდგენილია როგორც უფრო ადრინდელი, ვიდრე დასავლეთის (ევროპის) რენესანსი. ამდენად ნ. კონრადის თვალსაზრისი არც თუ ახლოა ვ. ჟირმუნსკის კონცეფციასთან, რომელიც გვესელოვსკის ცნობილ სტადიალურ პარალელიზმს ემყარება. მაგრამ ვ. ჟირმუნსკის აზრები იმდენად თავისებურია, რომ აქვე ცალკე უნდა შევეხოთ.

ნ. კონრადის ნარკვევს 1957 წელს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში მოჰყვა აღმოსავლური რენესანსის მრავალი მკვლევარის გამოსვლა 1958 წელს. ეს მოვლენა დაუკავშირდა ამავე წელს სლავისტთა მსოფლიო კონგრესს, რამაც თანმიმდევრული გახადა რენესანსის ელემენტების მკვლევართა მუშაობა აღმოსავლეთის ლიტერატურაში.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელმა ი. გოლენიშჩევ-კუტუზოვმა კონგრესს წარუდგინა მოხსენება: „იტალიური აღორძინება და სლავური ლიტერატურა". ამავე თემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეთა დ. ლიხაჩოვის მუშაობას აღმოსავლური რენესანსის პრობლემაზე და უზბეკი პოეტის ალიშერ ნავოის შემოქმედების კვლევის ამოსავალ წერტილად ხდის.

ვ. ჟირმუნსკი ცდილობს დაამტკიცოს „აღმოსავლეთის რენესანსის საბჭოურ მკვლევართა გზის სისწორე და, თუმცა ცნობილი მეცნიერი არ დავობს, რომ „აღმოსავლეთის რენესანსის", როგორც ახალი საკვლევი დარგის, ავტორი მე ვარ, ორიოდე შენიშვნას მაინც მაძლევს. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ სულ რაღაც ორიოდე ათეული წლის შემდეგ აღმოსავლური რენესანსის სპეციალური კვლევა ერთ-ერთ დიდ სამეცნიერო დარგად აღიარა. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეთა გამოსვლა იმდენად დიდია მოცულობით, რომ, შეიძლება ითქვას, ამ მეცნიერებმა უფლება მოიპოვეს ჩემს ოცი წლის წინათ მოხაზულ ფარგლებს გადაეკარონ.

საკმე ის არის, რომ ოციოდე წლის წინათ, როცა „აღმოსავლეთის რენესანსის" ცნება წამოვაყენე, ის არც ვ. ჟირმუნსკის სჯეროდა და არც სხვებს. მხოლოდ ორიოდე მეცნიერი, და ისიც გაუბედავად, მიჭერდნენ მხარს. როგორც ზემოთ მოყვანილი სამეცნიერო ფაქტებიდან ჩანს, მდგომარეობა ოციოდე წლის მანძილზე არსებითად შეიცვალა და „აღმოსავლური რენესანსის" სამეცნიერო ძიება საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის დიდ საქმედ იქცა.

მეცნიერებისათვის მთავარია ის, რომ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა „აღმოსავლური რენესანსის" ნიადაგზე დადგა და ამ მუშაობას, როგორც ხედავთ, დიდი ენერგიით აკეთებენ. ეს, ცხადია, არ აუქმებს და ვერც ვერასოდეს გააუქმებს იმ ფაქტს, რომ მეცნიერების ეს დარგი პირველად მეთოდებული იყო ჩემს მოხსენებაში 1941 წელს «Восточный ренессанс и критика европоцентризма», იმავე წელს იქ, მოსკოვში, საპასუხო მოხსენება წაიკითხა ვ. ჟირმუნსკის.

მართალია, დღეს ალიშერ ნავოიზე დაწერილ თავის ნაშრომში ვ. ჟირმუნსკი ასახელებს ჩემს შრომას, რომელიც თბილისში გამოვიდა 1947 წელს რუსულ ენაზე — უნივერსიტეტის გამოცემით, მაგრამ მან იცის ჩემი ნარკვევი 1941 წლისა, რომელიც აგრეთვე დაიბეჭდა თბილისში საბეჭდიერო აკადემიის „ენაუბაში" № 8.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. მ. ჟირმუნსკის „აღმოსავლეთის რენესანსის" თეორია ყველაზე ადრე შეითვისა და უკვე ეტყოდა 1941 წლის საპასუხო მოხსენებაში, რომ იგი ამ გზას ადრე თუ გვიან დაადგებოდა.

„ლიტერატურნაია გაზეტამ" (№ 10, 1941 წ., მოსკოვი). ჩვენს დისკუსიასთან დაკავშირებით დაბეჭდილ ანგარიშში აღნიშნა ეს ამბავი და ისიც დასძინა, თუ როგორ უშლიდა ხელს ვ. ჟირმუნსკის ვესელოვსკის სტადიალური განვითარების თეორია ამ საკითხებში ბოლომდე გარკვეულიყო. გაზეთი წერდა: „შ. ხუციშვილი მიესალმება მოხსენებას (ჟირმუნსკისას) როგორც აღმოსავლეთის ხალხების კულტურისაკენ შემობრუნებას, როგორც ცდას შეუკავნილ იქნას აღმოსავლეთი ისტორიულ კვლევათა ორბიტაში. მაგრამ, აღნიშნავს იგი, დაუშვებელია, როგორც ამას ვ. ჟირმუნსკი სჩადის, გამარტივებულად ავხსნათ ყველა მსგავსი მოვლენა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში სტადიალური კანონზომიერებით, გზები ამ მოვლენების წარმოშობისა ხალხთა შემოქმედებაში გაცილებით უფრო რთულია. ისინი უნდა შეისწავლებოდნენ არა მარტო გარკვეული ისტორიულ-სოციალური სტადიალობის თვალსაზრისით, არამედ ანგარიში უნდა გაეწიოს იდეურ მოძრაობათა განვითარებას, მატერიალური კულტურის ეგლებს და სხვ".

ვ. მ. ჟირმუნსკიმ, საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობასთან ერთად, შეითვისა „აღმოსავლური რენესანსის" თვალსაზრისი, შორს წავიდა მეცნიერული კვლევის გზაზე. იგი მშვენივრად ხედავს იტალიის რენესანსის ელემენტებს ნავოის შემოქმედებაში.

მე. ცხადია, ამას მივესალმები, მაგრამ დღესაც უნდა გავიმეორო იგივე შენიშვნა ვ. ჟირმუნსკის მიმართ: ვესელოვსკის სტადიალური განვითარების თეორიის ნიადაგზე ის ვერ ახერხებს ზოგი რამის შემჩნევას.

მთავარია ეს, რომ „აღმოსავლეთის რენესანსის" იდეა დაიბადა ბურჟუაზიული დასავლური მეცნიერების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, სახელდობრ „ევროპოცენტრიზმის" წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ეს ტერმინი შემოიღო „გეოცენტრიზმის" მაგვარად, რადგან უნდა დამემსხვრია თეზა — თითქოს მთელი ქვეყანა დასავლეთის ბურჟუაზიული კეთილდღეობის ირგვლივ ტრიალებს. მით იწყება და მითვე თავდება. აშკარაა, რომ „ევროპოცენტრიზმი" კოლონიალიზმის იდეური დასაყრდენია და შოვინისტური გაყოფა აღმოსავლეთ-დასავლეთად კოლონიალიზმის მოსპობასთან ერთად უნდა მოისპოს.

ამისათვის მჭირდებოდა დასავლეთის რენესანსის აღმოსავლური ძირების ხაზგასმა, რაც თავისთავად ფაქტი იყო, მხოლოდ ცოდნა ესაჭიროებოდა. „აღმოსავლეთის რენესანსის" იდეა დაიბადა როგორც „კრიტიკა ევროპოცენტრიზმისა". კ. მარქსმა გვასწავლა, რომ ყოველი ახალი და საღი მიმართულება აზროვნებაში უნდა დაიბადოს როგორც „კრიტიკა". ეს მე დიდხანს ვერ გავაგებინე ჩემს მოწინააღმდეგეებს. რაც შეეხება ვ. ჟირმუნსკის, ის ახლაც ვერ ხედავს, რატომ გაუყვი ანტიკური ფილოსოფიის შემკვიდრეობის განვითარების გზას, რითაც ნათელი გავხადე დასავლეთის რენესანსის დამოკიდებულება აღმოსავლურთან.

ყოველ შემთხვევაში ეს აკადემიური კამათია, რომლის გამოც კიდევ მოვახერხებთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. უფრო გაუგებარია მეორე შენიშვნა ვ. ჟირმუნსკისა: „საეჭვოა შოთა რუსთაველის და მისი დროის ქართული პოეზიის (XI-XII სს.) რენესანსისათვის მიკუთვნება. უფრო დამარწმუნებელია ნ. მარისა და ვ. შიშმარიოვის შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგები". საკმე ეხება ნ. მარის ცნობილ თეზას რუსთაველის პოემაში — „ქალის კულტისა და რაინდობის" შესახებ.

ეს განცხადება თავიდან ბოლომდე გაუგებრობაა და იმაზე მეტი არა ღირს, რაც ნ. მარისა და ვ. შიშმარიოვის „შემოქმედებითი თანამშრომლობა", რომლითაც მათ დაასახიჩრეს რუსთაველის პოემის შესავალი და ბოლო სტროფები რუსულად თარგმნისას. ამის შედეგი კი ის არის, რომ ჩვენ გვიხსნიან, რომ „ეს მოვლენა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების პერიოდისა არ შეიძლება გაიგივებულ იქნას რენესანსთან არც თავისი სოციალური ბუნებით და არც იდეური შინაარსით".

რუსთაველის თარგმნელი გერმანულ ენაზე — ჰუგო ჰუპერტი, როგორც კი მან საკმაოდ შეისწავლა რუსთაველის პოემის ტექსტი, დარწმუნდა, რომ საკმე აქვს იტალიური რენესანსის მაგვარ საყვირველ მოვლენასთან, რის შესახებ ის წერს თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელიც 1957 წელს გამოვიდა. იგივე აზრი აქვს გატარებული ფრანგულ ენაზე რუსთაველის პოემის თარგმნის შესავალში სერგი წულაძეს. („ეეფხისტყაოსანი" ახლა საერთაშორისო კულტურის გამომცემლობაში „იუნესკოში" გამოდის). ისრაელის ცნობილი მეცნიერი—დოქტორი ხაიმ ვარდი გაოცებულია, რომ ამ თხზულებაში, რომელიც დანტეს „დივინა კომედიაზე" ასი წლით ადრეა დაწერილი, არის იტალიური რენესანსის ელემენტები.

1941 წელს გამოჩენილი რუსი მწერლის ალექსეი ტოლსტოის ბინაზე მოსკოვში შემდგარ სალიტერატურო საღამოზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ თვით ალექსეი ტოლსტოი, ფადეევი, პოეტი შჩიპაჩოვი და სხვანი, წავიკითხე რუსთაველის პოემის რუსული თარგმანის აღგილები. კამათის დროს ალექსეი ტოლსტოი გაფაქრით გამოვიდა რუსთაველის პოემის როგორც რენესანსული ძეგლის მოხსენებაზე.

რა თქმა უნდა, ნაწარმოების ხასიათის დასადგენად ცალკეული პირების დასახელება მეცნიერულ გზად არ გამოდგება, მაგრამ ეს შესაძლებელი გახადა ვ. მ. ჟირმუნსკის მიერ ნ. მარისა და ვ. შიშმარიოვის დამოწმებამ.

ა რსებითად კი საკითხს წყვეტს რუსთაველის ტექსტის ცოდნა. სიყვარულს, რომელიც ასახულია რუსთაველის პოემაში, საერთო არა აქვს რა რაინდულ სიყვარულთან, იგი მიწიერი და ზეციური სიყვარულის პრობლემაა, რაც იტალიის რენესანსში გადოცემულია ზეციურ და მიწიერ ვენერას პრობლემით და რაც პეტრარკადან დაწყებული ბოიარდოსა და არიოსტოს შემოქმედებამდე „მიჯნურის" (როგორც შმაგის), აღმოსავლურ გავებას აღწევს.

ეს ერთი — რის ცოდნაც საჭიროა. მეორე ის, რომ რუსთაველის პოემა ეკუთვნის ორ ეპოქას: იგი იწყება რაინდულ წრეში და თავდება სავაჭრო გარემოში, ხოლო თვით ეს [illegible] კეთებულია ნამდვილი [illegible] ენესანსული [illegible] რეალიზმით, რომელსაც შეესაბამება [illegible] როგორც [illegible] პუპერტი [illegible] [illegible] [illegible]